საქართ. მემარცხენე სოც.-დემოკრატიული რევოლუციონერ პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000. მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2,000 მან.

№ 148

ოთხშაბათი, თებერვლის 15 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

მწუხარებაში მყოფნი გოლოშვა და კონსტანტინე ერისთავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი დედის, მეორე ძვირფასი სიდედრის

ბაბილინე ვახტანგის ასულის ბებურიშვილისას

141

დაიბეჭდა და იყიდება

ლექსები. მეოთხე ტომი.

ი. გრიშაშვილი

ქ. შ. წ. კ. მადაზიაში.
განათლების კანტორაში.
სტუდენტთა კოო—ში:

„გამოსვლების“ გამო

1.

ვაშინგტონის კონფერენცია სრულის კატასტროფით დამთავრდა. კანნას კონფერენციამ ბრიანის ტახტი დაანგრია, ლენუა ჯერ კიდევ საძახადისის პროცეს არ გასცილებია, ხოლო პუანკარე ცვლილებს ის შორეულ მომავალს ჩაბარებოს, ამ რიგი დღესაც სდუმს და გენუას მოიკოტს უცხადებს, გერმანიაში სასტიკი გაფიცვები და კლასობრივი ბრძოლის ყოფნია დანთებული. ორ ნახევარი ინტერნაციონალ ც თითქოს გაბოფიზიდა და დანგრეულ-ამორიალებულ ბურჟუაზიულ ფრონტს დაუპირისპირა იდეა მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნისა მსოფლიოს მასშტაბში, მანვე გამოსცა საბჭოთა სპეციალი მოწოდება. საერთაშორისო რევოლიუციის შტაბი — მესამე ინტერნაციონალიც ეწყობა მთლიან მუშათა ფრონტის ნიადაგზე, რომელიც თავის მხრივ გამოსცა სათანადო მანიფესტი და აპირებს ახლო მ.�.მავალში ამ მხრივ პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას...

ერთი სიტყვით, 1922 წელი არა ჰგავს არც ერთს სხვა წელს 1918 წლის შემდეგ, 1921 წელი ევროპის დასნეულებულ სხეულის დასაძარების წელია, როცა იწყეთ უკანასკნელი ნაწილების „სულის დაფვა“ და ადასრული.

ევროპის რევოლიუციონულ ქარცეცხლში გახვევა, თანამედროვე კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის საბოლოო ლიკვიდაცია უდიდესი ისტორიული პროცესია, რომელიც საბოლოოდ გადასჭრის ხოლმე ყოველ ერის და ყველა ქვეყნის დაჩაგრულ კლასების საკითხს, გამოიყვანს ძსოფლიოს ეკონომიურ ქაოსიდან და კაცობრიობას გადაუშლის ახალ ეპოქას ხორმალური კულტურული განვითარებისათვის.

მხოლოდ სოციალიზმი და საერთაშორისო რევოლიუციის გადარმავება და გამარჯვებაა ერთად ერთი მკურნალი თანამედროვე მსოფლიოს „ავადმყოფი სხეულისა. მხოლოდ საერთაშორისო რევოლიუციის სამსახური ნიშნავს ერის და დაჩაგრულ კლასის სამსახურს, მხოლოდ ის ატარებს დღეს ნამდვილ სოციალისტურ სახეს ვინც სდგას საერთაშორისო ბრძოლისა და რევოლიუციის მწკრივში.

1918—1921 წ. წ. იყო პერიოდი ნაციონალურ მოძრაობათა, ნაციონალურ რევოლიუციათა., 1922 წლისათვის ეკონომიური კრიზისი არის კრიზისი არა გამოთავთავებულ სახელმწიფოებრივ ერთეულების, არა ავტარხულ ორგანიზაციათა, არამედ მთელი მსოფლიოს ეკონომიურ ორგანიზმისა. ამიტომაა გადაშლილი პირობები და ნიადაგი საერთაშორისო რევოლიუციისა. ჩვენ ვდგევართ ისტორიულ პროცესის ამ ნიადაგზე, როგორც მეცნიერულად გამორკვეულ ნიადაგზე და მოუწოდებთ ყოველ მოქალაქეს და ყოველ ამხანაგს, ვისთვისაც სოციალისტური იდეა არა მხოლოდ ყელზევითი ლაპარაკის საგანი, ჩადგეს ამ მოძრაობის ფერხულში.

რას ვხედავთ ნამდვილად საქართველოში? არის კი ნიშანწყალი ისტორიის მეცნიერულად გაგებისა „სოციალისტურ“ პარტიების მხრივ? არის კი რაიმე ნაბიჯი გადადგმული მთლიანი მუშათა ფრონტის სასარგებლოდ?

ჩვენ ამ საკითხს ვაყენებთ იმისათვის, რომ გავიგოთ და შევიფასოთ ის გამოსვლები, რომელსაც ამჟარა მენშევიკური ხასიათი აქვს და რომელიც ხასიათდება ჩვეულებრივი მენშევიკური უილაჯობით და უპრინციპობით. ჩვენ წინაალმდეგი ვართ ამ გამოსვლების, რომელსაც ისტორიულად არავითარი მომავალი არ აქვს და რაიცა აყენებს საქართველოს და ქართველ ერს მთელ რიგ საგრძნობ ჭრილობას და მავნებლობას.

დღეს მენშევიკები და მათი მამები ამსტერდამში მოითხოვენ სამსოფლიო კონფერენციების მოწვევას ხალხთა ლიგას საშუალებით. ესე იგი, მენშევიკური ორიენტაცია კვლავ ანტანტური ორიენტაციაა საკითხების გარკვევის პროცესში. ნუ თუ კიდევ საკითხია შეკნებულ მოქალაქისათვის, რომ ანტანტა დაიშალა და ხალხთა ლიგა თვით ვილსონის მეხსიერებიდანაც არის წაშლილი ნუ თუ ჩვენ გვირჩევენ სერიოზულად ამ განსვენებულ ლეშის პოლიტიკა მივიღოთ და მისთვის კიდევ ვიზრუნოთ?

მენშევიკებს მუდამ ახსოვთ მხოლოდ „ხალხთა ლიგა“. ეს ხდება იმ უბრალო ანგარიშით, რომ მენშევიკები არიან მიღებული წევრნი „ხალხთა ლიგაში, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვწამდა, რომ მენშევიკების თავიდანვე ადებული ყალბი გეზის დადუპვა რითიმე მავნებელი იქნებოდა საქართველოსათვის. პირიქით, მენშევიზმის მთელი იდეოლოგიის და პრაქტიკის ლიკვიდაცია არის მორიგი უსაქიროესი პრობლემა, როგორც ერთვნულს, ისე რევოლიუციონურს შემოქმედებაში. ოდესდაც თუ მენშევიზმს ახასიათებდა რევოლიუციური მუშაობა—ეს პლიუსიც მოისპო სამუდამოდ. იგი აშკარა რეაქციური ძალაა სუბიექტიურადაც და ობიექტიურადაც. ეროვნულის მხრივ მენშევიზმი იყო და არის ძალა მხოლოდ რეაქციური, ჩვენ ამ პოლიტიკურ ძალის ყოველი მოძრაობის წინააღმდეგი ვართ, როგორც შინ, საქართველოში, ისე გარეგ—უცხოეთში.

მენშევიკები ცდილობენ ეროვნულ გრძნობათა გაღვიებით შექმნან თავისთვის ხელსაყრელი პირობები. ჩვენ გავიგებდით მენშევიზმის ეროვნულ გრძნობებს ისინი, რომ სავსებით არ გთქვეფილიყვნენ ევროპის ასტანტის შავს რაზმებში. კონტრ-რევოლიუციონურ ძალის ეროვნული საკითხი ჩვენს პარტიას არც არასოდეს ესმოდა, არც დღეს ესმის.

ჩვენთვის ყოველგვარად ეროვნულ გრძნობათა დემონსტრაცია და მისი პოლიტიკური ფორმულა მისადები არ არის. ჩვენი პოლიტიკური დროშა ეროვნულიცაა და სოციალისტურიც. პირველი არ გვავიწყდება მეორეს მოგონებით, მეორე არ გვავიწყდება პირველის გახსენებით. ჩვენ ორივე ეს დროშა გვახასიათებს და ვიბრძვით მხოლოდ ეროვნულ-სოციალისტურ ფრონტის მიმართულებით: პირველია ერის თავისუფლება, მეორეა ამ ერის ჩაყენება საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის ფერხულში.

ჩვენ ვიცით, როგორც სოციალისტურ მოძრაობისათვის, ისე კიდევ მეტად ეროვნულ მდგომარეობის გაუჯობესებისათვის ძალიან ბევრი გვაქვს სამუშაო. ეროვნებაზე ბევრი ყვირილი ჩვენთვის სრულიადაც არ ნიშნავს ეროვნების სამსახურს. ობიექტიურად მენშევიზმს გაცილებით მეტი მავნებლობა მოაქვთ ქართველ ხალხისათვის, ვიდრე ბოლშევიზმს, თუმცა მენშევიკები უფრო მეტად ყიჟინობენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ვიდრე ბოლშევიკები. ობიექტიურად ეს ხდება იმიტომ, რომ ბოლშევიკების საერთაშორისო რევოლიუციის ორიენტაცია, რომელიც საბოლოოდ სჭრის და არკვევს ეროვნულ კითხვასაც, მხოლოდ ერთად ერთი სწორი ეროვნული სასარგებლო გეზია ქართველი ხალხისათვის, ვიდრე მენშევიკური ანტანტური ორიენტაცია, რომელსაც ეროვნული საკითხი ისტორიულად არასოდეს არ გადაუჭრია და ვერც მომავალში ვერაფერს გადაწყვეტს.

ჩვენ ეროვნულ საკითხს ვარკვევთ და ვწყვეტთ სოციალიზმით, შემამრჯვენენი—ანტანტით და კაპიტალიზმით—ეს ძირითადი განსხვავება და გაგება ჩვენი შეხედულებისა ეროვნულს დარგში.

გამოვდივართ რა ამ თვალსაზრისიდან, ჩვენ ყოველივე დარღვევა მთლიანი საერთაშორისო სარევოლიუციო ფრონტისა მიგვაჩნია მიუღებლად და საზარალოდ.

უკანასკნელი გამოსვლები ტფილისში, თუ ამას დავარქმევთ გამოსვლებს, არის მომაკვდავ პოლიტიკურ პარტიის სულის დაფვა. დასასრული ამ სულის დადგისა ერთად ერთი სასარგებლოა საქართველოსი და ერთ წუთსაც არ ვეჭვონია, რომ ეს იყოს ამავე დროს ქართული რაიმე ელემენტის ლიკვიდაციაც.

თედო დდონტი.

საშშობლოს დაცვა

„ჩვენ არ უარვყოფთ საშშობლოს დაცვას ხალითად“

გ. ზინოვიევი.
(„Война и криз, соц.“)
გვ. 383.

ნაციონალური პრობლემა, რომლის ირგვლივ დიდი ლიტერატურა წარმოიშვა, ცენტრალური პრობლემა გახდა სოციალ-პოლიტიკური ძიებათა ევროპის. ატომისტურ თეორიაზედ დამყარებული მარქსისტული მხედველობა, რომელიც ცენტრალისტურ პრინციპს ანიჭებდა პრიმატს, ვერ გადასჭრიდა ნაციონალურ პრობლემას და „საშშობლოს დაცვას“, რომელიც დეცენტრალურ პრინციპს გულისხმობს, ვერ გაიხდიდა თავის საპროგრამო მუხლად.

ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ძველსიზმი ებრძვის ნაციონალურ მიმართულებათ და ინტერნაციონალურ ლოზუნგებს აყენებს. ორტოდოქსალური მარქსიზმი ანტიპოდია ნაციონალური შემეცნებისა, მისი პრინციპი უაღრესად ცენტრალისტურია როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში.

მაგრამ ისტორიის ამოძრავებს არა ვინმეს მიერ წინასწარ განსაზღვრული კანონები, დამყარებული მეტაფიზიკურ დოგმებზე, არამედ ის სოციალური ძალები, რომელნიც მაზეზობრივი და ფუნქციონალური კავშირით იხლართებიან ურთიერთ შორის და ქმნიან მოვლენათა მთლიან ჯაჭვს.

მონისტური გაგება ისტორიული პროცესის, აშკარა სქოლასტიური, მეტაფიზიკური გაგებაა. კლასთა ბრძოლის ადიარება ერთად ერთ მომენტად სოციალ დინამიკაში, სოციალ ძალთა გაუთვალისწინებლობის შედეგია.

ვინც ფიქრობდა, რომ ინტერნაციონური გზით გაშლილი კაპიტალისტური მეურნეობა მოახდენდა ნაციურ ერთეულთა ასიმილიაციას და კოსმოპოლიტურ სხეულის წარმოშობას, იგი ისტორიის გაკვეთილებმა დაამარცხა.

კაპიტალიზმი არა თუ ერთა აღრევას ეროვნულ ორგანიზმთა დეგრადაციას შეუწყო ხელი, არამედ პირიქით, მიუხედავად წვრილ ერთა მიმართ ცეცხლითა და მახვილით ბრძოლისა, ამ უკანასკნელებმა მაინც შესძლეს ეროვნული კულტურის შექმნა და საკუთარ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციისათვის ბრძოლა.

კრიტიკული მარქსიზმი იძულებული გახდა შეეტანა დიდი კორექტივი კლასთა ბრძოლის ნიადაგზე მდგომ თეორიაში, რომელიც არ იცნობდა ეროვნულ პრობლემას.

შპრინგერ-ბაუერი იკვლევს ეროვნული ავტონომიის პრინციპს და იცავს მას. რუდოლფ ჰილფერდინგი ახასიათებს კოლონიალი პოლიტიკის შედეგებს ევროპის გარეშე მდებარე ქვეყნებში და დამლუპველად მიაჩნია იგი არა მარტო კოლონიისათვის, რომელიც განიცდის ექსპლოატაციას, არამედ თვით მეტროპოლიის ხალხისათვისაც, რომელიც სარგებლობს ჩაგრულ ქვეყნის მატერიალური რესურსებით. ამიტომ იგი მოითხოვს იმპერიალისტური პოლიტიკის უარყოფას და ეროვნული ცხოვრების განმტკიცებას, მისი ეკონომიკის აღდგენას.

დღეს, როდესაც მარქსისტულ მიმართულებას ისტორიამ რევოლიუციის ხელმძღვანელობა არგუნა, იგი იძულებული გახდა ცენტრალისტური პრინციპი უკუაგდო და მიიღო დეცენტრალისტური პრინციპი—ფედერალიზმი, და ამით კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა სოციალ-ფედერალიზმის სისაღე და მეცნიერული სიმტკიცე.

ფედერალიზმის ადიარება, თუ გნებავთ იმ ახი, როგორადაც ეს ძიიდო მესამე ინტერნაციონალმა, დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული. იგი საწინდარია მსოფლიო ფედერაციის რეალიზაციისა, რაც უზრუნველყოფს საბოლოოდ ეროვნულ ერთეულთა კულტურულ ეკონომიურ განვითარებას.

თუ ასეთია საერთოდ დღეს, ბოლშევიზმის ტაქტიკა ნაციონალურ პრობლემის მიმართ, ცხადია იგი გარკვევით და აშკარად უნდა ჩანდეს მთელი პოლიტიკის გასწვრივ.

როგორც ვიცით საქართველოში ბოლშევიკებმა შემოსვლისთანავე საქართველოს სუვერენობა ადიარეს.

ამ აქტს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ბოლშევიკების პირველი თამაშუკი, რომელიც ძიიდო ქართველმა ხალხმა, არის საქართველოს სუვერენობის ცნობა, ეს კი საშუალებას გვაძლევს ჩვენ პასუხი მოკოხოვოდ ამ ძალას ისე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფალთ.

ზინოვიევი, ინტერნაციონალის ალასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე საერთოდ არ უარყოფს საშშობლოს დაცვას. ჩვენი ხელისუფალნი საკუთარ საშშობლოში მოვალენი არიან გამოკვეთ გაიმეორონ ეს სიტყვები. მაგრამ მხოლოდ პლატონს შეეძლო სახელმწიფოს ხასიათი მძართველთა ნება სურვილით განესაზღვრა. დღეს კი უფლორთულია საზოგადოებრივი ცხოვრება და ზინოვიევი და ლენინიც ვერას გახდება იქ, სადაც ძალი წადმა ნახნავი უკუდმა იფარცხვის...

ვინც გრძნობიერებას მოკლებული არ არის ყველა გრძნობს, რომ საქართველოს დედა ქალაქი არ გაძოხატავს საქართველოს სუვერენობის ფიზიონომიას. ქართული ენა, წარსულში ყველასაგან აბუჩად აგდებული, დღესაც თითქმის მივიწყებულია.

ეს შედეგია ქართულის არა მცოდნეთა სიჭარბით.

ასეთი მოვლენა კი ანორმალური ხასიათს აძლევს მთელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

თითქმის წელიწადი სრულდება და ჯერაც ვერ ვეღირსეთ დაწესებულებათა ნაციონალიზაციას. განა ეს მოვლენა ობიექტიური პირობებით აიხსნება?

ჩვენ ხელისუფალ ერთი კარგი მხარე ახასიათებს, რაც მდგომარეობს დადგენილებათა ძყისვე ასრულებაში, მაგრამ ეს თვისება როგორც არა სჩანს საერთოდ ეროვნული პოლიტიკის სფეროში და კერძოდ ქართული ენის სახელმწიფოებრიობის ადგენაში.

დეკრეტები ქაღალდზედ რჩებიან და საქმე კი ისევ ისე ძველებურად გრძელდება.

უნდა გავიგოთ, ხომ განვლო მტკივნეულმა და რთულმა მომენტმა, როდესაც ქართველ მდგომარეობაში იმყოფებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრება, რეგკომენს. ნორმალური. დღეს საბჭოები სცვლის ხანა იწყება სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. ამიერიდან კი დაუშვებელია ქართული ენის საკითხი კიდევ დაისვას ჩვენს წინაშე, ამიერიდან ყველა უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ ის საქართველოში იმყოფება, არავინ არ უნდა იქნეს საბჭოთა ტფილისში ისეთი, რომელიც აქ ინტერნაციონალისტია და, ერევან მოსკოვში კი ნაციონალისტი.

უნდა მოხდეს ძირითადი ცვლილება ამ მხრივ და ბოლშეკიკებმა გარკვევით

უნდა გაიმეორონ ზინოვიევის სიტყვა, რომ ჩვენ საერთოდ არ უარვყობთ სამშობლოს დაცვას და ვიცავთ სამშობლოსი. თებერვალში გაცემული თამასუქი საქართველოს სუვერენობისა უნდა განადგურდეს სავსებით, რომ ამით დაინახოს ყველამ, რომ ჩვენს მიწა-წყალზე მოხდა მხოლოდ მენშევიზმის ლიკვიდაცია და არა საქართველოს თავისუფლების გაბარწყლება. უნდა ყველასათვის ნათელი გახდეს, რომ ქართველი ბოლშევიკებისათვის უპირველესად ქართველი მშრომელის ქირი და ლხინია უმაღავრესი „საბრუნავი და სამშობლოს დაცვა, საქართველოს პატრონობა უპირველესი მოვალეობაა მათი.

მართალია ორტოდოქსალური მარქსიზმი ვერ მგუფლა ასეთ პოლიტიკას, მისთვის სახელმწიფოს ფიზიკური საფუძველი არ არის ეროვნული ორგანიზმი. ამიტომაც იყო, რომ ეგ. ყოდ. „მესაზე დასი“ ესოდენი დემაგოგიით „კაცთა ჭამიობას“ უწოდებდა ავტონომიას. ამიტომ იყო, რომ სტალინი ებრძოდა ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას და მხოლოდ ოლქობრივი ავტონომიის პრინციპს აყენებდა. ამიტომ იყო, რომ როგორც მენშევიზმი, ისე ბოლშევიზმი უარყოფდა არა თუ სეპარაციას, არამედ ფედერაციასაც კი. მაგრამ დღეს, როგორც პირველი, ისე მეორე იძულებულია ქედი მოიხაროს ეროვნული საკითხის წინაშე და ხელი მოაწეროს სეპარატიზმისაც კი. მაგრამ მართალ ხელის ძოწერა ორ ძალია. საჭიროა მტკიცედ დაცვა ეროვნული სუვერენობის.

ერთსულ და სამუდამოდ თავი უნდა გავანებოთ მარქსისტული კოსმოპოლიტიზმის დოგმეას ეროვნულ საკითხში და სინამდვილის ხიდ-გზე გავხართოთ პოლიტიკა, თორემ სოციალურ ძალთა სრბოლა ძის ძაინც გაამხვრევს და ძუტად საზიანოდ.

თუ წინეთ მარქსისტისათვის „სამშობლოს დაცვა“ შოვინიზმის ემბლემა იყო, დღეს კი „სამშობლოს დაცვასთან“ უნდა მივიდეთ სოციალისტური პოლიტიკის თვალსაზრისით და მარქსის ფორმული „მუშებს სამშობლო არა აქვს“ უნდა შევცვალოთ—„ბურჟუებს სამშობლო არა აქვს“.

ბოლშევიკური ხელისუფლება, არა შინაგან ძალთა მიერ აყვანილი პოლიტიკურ სიმაღლემდე პირნათლად წარსდგება ისტორიის წინაშე თუ გაანადგურებს 1921 წლის თებერვალში გაკეთებულ თამასუქს და მტკიცედ დაიცავს სოციალისტურ სამშობლოს.

სერ. ამაღლობელი.

ახალი ამბები

— **პროფკავშირთა კლუბი.** კლუბის დროებითმა გამგეობამ დაუთმო ადნიშნული შენობა პარასკევს, თებერვლის 17-ს, პროფკავშირებს პოლიგრაფიულ წარმოებისა და მართველებისას, შაბათს, თებ. 18-ს სურსათს-საგადმგზავლოა პროფკავშირს. ამ დღეებში აღნიშნულ პროფკავშირების მიერ სპეკტაკლების მოწყობის დროებითი გამგეობა უწევს შესაძლებელს დახმარებას.

— **რეგისტრაცია მედპერსონალისა.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი შეუდგა მთელი მედიკპერსონალის რეგისტრაციას რესპუბლიკაში. პირველ რიგში იქნება მოხდენილი აქიმთა რეგისტრაცია, რომელიც დაიწყება თებერვლის 20-დან 25 მდის სახ. ჯანმრთელობის კომისარიატის შენობაში.

ტფილისის აღმასკომში. ქ. ტფილისის აღმასკომის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. სვანიძემ მოხსენებით საქართველოს ფინანსიური აღგომარეობის შესახებ (მიზეზები კრიზისისა და ზომები მიღებული მთავრობისაგან კრიზისის გადასალახავად) დადგენილ იქმნა: ეთხოვოს საქართველოს რევკომს გამოსცეს დასაბეგრი დადგენილება, რომელიც დააკანონებს ცირკულარის სახფინკომისრისა საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნების მიღების შესახებ ხაზინის მიერ ხოლოდ 1/2-ის ოდენობით, 1/2 გადასახადისა—ქართული ბონებით; ნება მიეცეს ტრამვაის მიიდოს და ანგარიში გასწოროს მხოლოდ ქართული ბონებით.

— კომუნალური განყ. გამგის ამხ. წიფწიფაძის მოხსენება სამიწადმოქმედო ქვეგანყოფილების გეგმებზე დადასტურებულ იქმნა, მხოლოდ საბურთალოს ჭაობების და მტკვრის მცირე შტოების დაშრობა მინდობილი აქვს ქვეგანყოფილებას, რათა მოლაპარაკება იქონიოს სახალხო შრომის კომისარიატთან, რომ გაფართებულ იქმნას შრომის ბეგარა ორივე დანიშნულების შესასრულებლად.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა გრიგოლ ზოდელის ლექსების კრებული: „დალურსმული ხელები“.

რუსეთი

მოსკოვი თებერ. 12. კიევში გათავდა აგრონომთა მობილიზაცია, თესვის კომპანიის ჩასატარებლად. გამოცხადებულია მობილიზაცია სტუდენტ-აგრონომებისა. კიევის საგუბერნიო ძიწადმოქმედების განყოფილებამ მოაწყო გაფართებული—გამოფენა, რომელიც არის მდიდრულად მორთული სხვა და სხვა ექსპონატებით სათესლე ბამბისა და გვალვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

უცხოეთი

ნაუენი. 13 თებ. ჰავასის სააგენ. ცნობით, ბრიტანეთის მთავრობას ჯერ კიდევ არ განუხილავს საფრანგეთის ძემორანდუმი, ვინიდგან გართული არის ინლოგთის საქმეებით. მიუხედავ დ ამისა ლორდ კერზონი, ხორნი და ჩემბერლენი უკვე გაეცვნენ საფრანგეთის ძალაზრეებს გერმანიის კონფერენციის შესახებ. პასუხს არ უნდა ძოველოდეთ უახლოეს დღეებში.

პარიზი. 13 თებ. ლონდონის გაზეთები აქვეყნებენ ოფიციალურის ცნობებს, რომლებშიაც ადნიშნულია ორ გვარი შესაძლებლობა „გენუას კონფერენციის გადადების შესახებ: 1) იმ შემთხვევაში, თუ იტალია ძოითხოვს გადადებას და 2) თუ შინაური საქმეები დიდი სახელმწიფოებისა ისეთს ყოფაში იქნება, რომ გადადება გენუას კონფერენციისა აუცილებელი შეიქნეს. გაზეთი „ეტრახიქანი“ ხედავს ამასში იმის დასამტკიცებელს, თორ ინგლისი გაუწევს დიდ წინააღმდეგობას და დასთანხმდება კონფერენციის დროებით გადადებას.

ბერლინი. 13 თებ. ლონდონის სოციალისტურ პრესას მიაჩნია პუანკარეს ძემორანდუმი უარყოფით. „ვერნერ ანზეიგერ“ მოვლენათ. „ვუსტმინსტერს. გაზეთი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ძემორანდუმი წარმოადგენა უდიდესს საფრთხეს გენუას კონფერენციისათვის: წინასწარი თათბირი ამ საკითხების შესახებ, რომელნიც გასხილულ უნდა იქმნეს გენუას კონფერენციაზე, ფაქტიურად გადააქცევს მთელს კონფერენციას უმნიშვნელო საბჭოს კრებად. „პელ მილ გაზეთის“ აზრით, ბევლი პოლიტიკოსები, რომელნიც მოითხოვენ გარანტიას, აბნევენ კონფერენციის მიზნებს. გაზეთი აბეტკიცებს, რომ ყოველგვარი დაბრკოლებანი ძოიპრობა, თუ ინგლისი გადაქერით უპასუხებს საფრანგეთს, რომ სიტყვაც კონფერენციის გადადების შესახებ.

ბონდონ. 13 თებ. „ეკონომიკ“ იუწყება, რომ ბელგიის საზოგადოებრივმა აზრმა მიიღო საფრანგეთის ძემორანდუმი გენუას კონფერენციის შესახებ სრულის კმაყოფილებით. გაზ. „ვენტიუმ ს'ეკლ“, აღნიშნავს, რომ „პოზიციას, რომელიც დაიკავა საფრანგეთის მთავრობამ, „ეხარს უჭერს ბელგიისა „ბინეტიც. ბელგიის ცხოვრებას საკითხს წარმოადგენა დაცვა მისი კონტროლიუციონური უფლებებისა „და ქვეყნის დაცვა. ამ გვარად, ბელგია უერთდება იმას, რომ ჯარანტიები, რომელსაც თხოულობს პუანკარეს ძთავრობა, აუცილებლად უნდა იქმნეს მიცემული.

ბონდონ. 15 თებ. „ტანინის“ აზრით ძლიერ შესაძლებელია, რომ ბონომის მთავრობა მიიღებს პარლამენტში ნდობას. შესაძლებელია, რომ ბონომიმ არ ჯაუწევს წინააღმდეგობას კონფერენციის გადადებას.

ნაუენი. 13 თებ. გერმანიის მთავრობის წრეები თანახმანი არიან გენუას კონფერენციის დროებით გადადებისა და წინასწარი თათბირის იმ პირობით, თუ ამ თათბირში მონაწილეობას მიიღებს გერმანია. „ფორვერტსი“, რომელიც ეხება კონფერენციის საკითხს, მოითხოვს, რომ გერმანია უარყოფს ყოველგვარი ცდა ჩარევასა თავის სუვერენულს უფლებებში, რომლისკენაც მიიღტვის საფრანგეთი. გერმანიამ უნდა მოითხოვოს ის, რომ კონფერენციამ გარკვევით გამოსთქვას ჩარევის წინააღმდეგ.

ნაუენი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ შეერთებულ შტატების მთავრობის აზრით გერმანიისა და რუსეთის პრობლემები განუყრელია ერთიმეორისაგან და უნდა შეიქმნენ მთავარი საგანი გენუის კონფერენციის მსჯელობისა. ეს საკითხი მნიშვნელოვანია ევროპის აღდგენისათვის ისე, როგორც ფინანსიური წონასწორობის დამყარება და კურსის სტაბილიზაცია.

ბონდონ 11 თებერ. ოფიციალურად ამერიკულ მთავრობას, როგორც სჩანს, მონაწილეობის მიღება არ აქვს ევროპიული გენუას კონფერენციაში, რაც ხელს არ უშლის ამერიკის მთავრობის წრეებს მაინც ერესდნენ კონფერენციით. ამერიკის მთავრობა საზოგადოდ იწონებს საფრანგეთის პოზიციას რუსეთის მონაწილეობაზე გენუის კონფერენციაში.

პარიზი 11 თებერ. „ნიუიორკ ჰერალდი“-ს ცნობით ამერიკის მთავრობა განაცხადებს, რომ ის გაგზავნის გენუის კონფერენციაზე ორ წარმომადგენელს, როგორც „მეთვალყურე“-ებს.

მოსკოვი 12 თებერ. ფრანკფურტში შესდგა 20 ათასიანი კრება, მოწვეული დემოუკიდებლების და კომუნისტების მიერ. კრებამ მიიღო ულტიმატიური მოთხოვნილება, რათა შეცვლილ იქმნეს პრეზიდენტ ებერტის მიერ გამოცემული დადგენილებანი მუქარით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან მოუწოდონ ყველა გერმანიის მუშებს საერთო გაფიცვისაკენ.

— რკინის გზის მოძრაობა მთელ ჩრდილოეთ გერმანიაში ჯერ-ხნობით გრძელდება იმ 7 ათასი დამხმარე მუშა-ხელით.

— სტინესის ორგანო იტყობინება: წარმოების წარმომადგენელმა მთავრობას განუცხადეს, რომ გერმანიის მრეწველობა, უწევს რა ანგარიშს გამარჯვებითი ბრძოლის მნიშვნელობას გაფიცულებთა, მზად არის თავს იდვას მთელი სიმძიმე გაფიცვის შედეგებისა, მხოლოდ კი მთავრობამ შეინახოს სიმტკიცე.

— ბერლინიდან 8 თებერვალს იტყობინებიან: 6 დღე [illegible] გაფიცვა რკინის-გზელების ოფიციალურად შესწყდა. [illegible] და გაფიცულთა ბელადე[illegible] [illegible]ის მიღწეულია შეთანხმება. [illegible] სადაო პუნქტში დამსჯელი ზომების მიღების შესახებ: უფლება დამსჯელი ზომების მიღ[illegible]ისა ეძლევა მთელს კაბინეტს. ზომ[illegible] ეიძლება მიღებულ იქმნას მხოლოდ გაფიცვის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ და მთავარ მონაწილეთა მიმართ. დისციპლინალურ [illegible]დახდაზე მასსიური ზომით მთავრობა [illegible]არს ამბობს. ჯერ კიდევ ძნელია იმსჯელო, დაუჯერებენ თუ არა რკინის-გზელები ბრძანებას გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

დამშეულთა დასახმარებლად

11 თებერვალს შესდგა საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის პირველი სხდომა, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, წევრები: ა. სვანაძე, ა. ერქომაიშვილი და გ. სტეფანა.

ამხ. მ. ბარიძემ დასურათა რა დამშეულთა ძგრომარეობა და ადნიშნა რა საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მიზნები, ბაზგასმით აღნიშნა დამშეულთა დასახმარებლად საჭიროება.

ამ მიზნით დადგენილია შემდეგი:

პირველი—გამოიცეს ძოწოდება მოსახლეობისადმი, ადძოფჩინ. ფართოდ დახმარება დამშეულ ზორაპნის, ოქტის, ლეჩხუმის და სხვა ძაზრებს.

მეორე—ძოეწყოს ადგილობრივად რევკომებთან კომისიები, რომელნიც შეკრებ რევკომის თავმჯდომარე ან მისი ძოადგილე. სამაზრო სასურსათო კომისარი, კომძალტიის წარძომადგენელი და ორი გლები დამშეულ მოსახლეობისაგან.

კომისიას ევალება საჭიროდ გამოარკვიოს სიძნელობის ხარისხი, აძასთანავე დამშეული მოსახლეობა უნდა გაიყოს ორ კატეგორიად: ა) ულარიბესი მოსახლეობა დახმარებას მიიღებს უსასყიდლოდ ბ) მოსახლეობა, რომელსაც აქვს გადახდის შესაძლებლობა დახმარებას ლებულობს დაკლებულ ფასით და აქედან აღებული მიდის უკან დამშეულთა ფონდში, სამაზრო რევკომებთან არსებულ სპეციალურ კომისიების ჩვენებით.

მესამე—საჭიროა დახმარებისათვის გადადებულია: ა) სასურსათო კომისარიატის მიერ ორი ვაგონი ხორბალი, ბ) ფინანსთა კომისარიატისაგან ერთი ძალიანადი ძანეთი, ბგრედვე გარდაწყვეტილია მიიღონ საგარეო ვაჭრობის გაუფილებისაგან 17,000 სტერლინგი და ამით შეიძინონ პური სპეციალურად დამშეულთათვის, ამას გარდა ის გაძეულობანი, რომლებიც არის სახელმწიფო „განკარგულებაში, მაგალითად 300,000 ოქროს ძაეთი. უნდა გადაეცეს დ.ეულთა სასარგებლოდ.

მეოთხე—მიზიდულ იქნეს ამ მუშაობაზე საზოგადოების ფართო წრეები დამშეულთა ფონდის გასაძლიერებლად, ხელაყოფლობითი შეკრების და ძეგროვა ან ერთდროულ შემოწირულობათა გზით.

ხელოვანთა სასახლე

კვირას, თებერვალის 12 „ახალი მწერალთა კავშირის“ მერვე სადამოზე, გიორგი ლეონიძემ წაიკითხა ძოხსენება: „საქართველოს აუსიანიზძი“. მოხსენება დაურდნობილი იყო ძალოლოდ ისტორიულ ფაქტებზე და თვით ძოძხსენებელი კმაყოფილდებოდა ამ ფაქტებიდან ამოღებულ ციტატებით. ძოხსენებაში გაკვრითაც არ იყო წამოყენებული თეზისები ძესიანიზძის საქართველოში, არც ძირეულად გარკვეულა: რა არის ძესიანიზძი, რა სახის იყო ის წარსულში და როგორი არის დღეს. არც უბრალოა ახალიხი იმ ისტორიულ ძასალების, რომლითაც დამძიმებული იყო ძოხსენება.

ეს ნაკლი იმავე სადამოზე სამართლიანად იქმნა აღნიშნული ია. ვართაგავას და სხ. მიერ. მაგრამ უფრო საინტერესო იყო ტიტიან ტაბიძე. [illegible] დაჯერებულმა სიტყვამ და ჩვენი ისტორიული სიმძიმის ანალიზმა, სრულებით დაფარა მოხსენება და ძოგვცა ის, რაც ვერ შესძლო ლეონიძემ. მისი (გახსაკუთრებით ამ სადამოზე) ლოდიკური მსჯელობა, საკითხთან სიახლოვე და საქართველოს ძესიანიზძის გაშლილი ფაძოყენებული ეზიულია თეზისებძა, ღრმა „მთაბეჭდილებით დაამთავრა სადამო.

მაგრამ საერთოდ ზოგიერთ „ცისფერ ყანწელს“ ახასიათებს წრეს გადასული ეგოიზმი, ეს ერთხელ კიდევ დასტაბა ვალერიან გაფრიხდაშვილმა ამ სადამოზე. გაფრინდაშვილმა წამოაყენა ორი სიხარბიმი: „საქართველო და ამოთდია“, „მე და საქართველო“. შეიძლება ეს გამბედაობა საკმარისი იყოს რამდენიმე ლექსისათვის, მაგრამ საქართველოს ძესიანიზძის დაპირისპირება აფეროისტ ამორდიასთან, ეს პირდაპირ აბსურდია. ამ სალამოზე „გაფრიხდაშვილის აწეული ტონი არაფრით „ა შეიძლება გამართლდეს. საჭიროა მოცეძულის შრავალ ტომიანი გენიალობა და სიმძიმე, რომ პოეტმა ასე

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
„ამინაცემული— მთავარი კომიტეტი.

ხელოვანებით ილაპარაკოს საქართველოს მკსიანიზმზე, რომელიც თავის ლექსებში ყველაზე ნაკლებ გრძნობს საქართველოს [illegible].

კიდევ ერთი, შენიშვნა სალამოს, გამოცხადებულ დროს, [illegible] საათით გვიან იწყობა (მას შემდეგ მაინც, რაც „ქიმერიონი“ გაიხსნა), რაც აღკვეთილ უნდა იქნეს, ამასთანავე რომ მოისპოს აუდიტორიაში უადგილო რეპლიკები და სიცილი, საჭიროა თვით პოეტებისაგან მეტი „თავაზიანობა და ჯენტლმენობა, რათა ის ახალგაზრდები, რომელთათვისაც ასეთი საღამოები ერთადაირ სკოლად იქცა, „ფეხშიმგელი“ შემოვიდნენ „ხელოვანთა სასახლეში“.

რაჟდენ გვეტაძე.

დადგენილება № 140

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

თემის აღმასრულებელ კომიტეტებთან რწმუნებულთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

დამატებად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლის ოქტომბრის 25-ს თარიღითა და 87 №-ით გამოცემულ დადგენილებისა,—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ძრომისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის ბეგარის განზორციელებისა და მისი სწორი განაწილებისათვის სოფლის მცხოვრებთა შორის, აგრეთვე გასთავისუფლების წესის განზორციელებისა და ძრომისა და შარა-გზებით ტვირთ-ზიდვის ხარკის დაწესებული მტკიცე ნორმების დაცვისათვის, თემის აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსდეს შრომის გასაყოფილებათა რწმუნებულების თანამდებობანი.

2. შრომის განაწილების რწმუნებულის მოვალეობა დაეკისროს თემის აღმასრულებელ კომიტეტის ერთ-ერთ წევრს, შეთავსების წესით.

3. თემის აღმასრულებელ კომიტეტის აღნიშნული წევრი შრომის ძოწესრიგების საკითხებში უშუალოდ ექვემდებარება სათანადო სამაზრო შრომის განაწილებას, ასრულებს ყველა მის განკარგულებას და მასვე წარუდგენს პერიოდულად თავისი მოქმედების ანგარიშს.

4. მე-3-მე მუხლში აღნიშნულ რწმუნებულთა უფლება-მოვალეობისა და მათი შრომის განაწილებებთან ურთიერთობისათვის, შრომის სახალხო კომისარიატს ევალება გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია და დებულება.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე ბ. კვირკველია.
ფინანსთა სახალხო კომისარი
ალ. სვანიძე.
შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.
საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალვაშიძე.
1922 წ. თებერვლის 13-ს.
ტფილისი—სასახლე.

ჩვენი ფოსტა

დანჩხუთი. აკაკი გოგიჩაიშვილის. თქვენი ბარათი ძალიან დაგვიანებით მივიღეთ.